პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 237 (11848)
სამშაბათი,
11
ოქტომბერი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვს ეწვივნენ ამერიკელი მუშები

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება:

8 ოქტომბერს დილით საბჭოთა მთავრობის მეთაურის რეზიდენციაში პარკ-ავენიუზე მოვიდნენ ზანგი მუშები ვილიამ კლარკი და კლარენს კოგინსი. მათთან ერთად იყო 13 წლის ჰოლდა, ვილიამ კლარკის ქალიშვილი.

მეტად ამაღელვებელი და გულთბილი იყო საბჭოთა მთავრობის მეთაურის შეხვედრა რიგით ამერიკელ მუშებთან.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის უღრესი პატივისცემის ნიშნად, რომლებიც დაუცხრომლად იცავენ მშვიდობისა და ყველა ხალხის თანასწორობის საქმეს, სტუმრებმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს უძღვნეს უბრალო საჩუქრები. ისინი ამბობენ, რომ ეს სუვენირები მეტად იაფი ღირს, მაგრამ მათ ამ საჩუქრებში ჩააქსოვეს ცნებები, რომლებიც არავითარი დოლარით არ განისაზღვრება, — თავიანთი სიყვარული, თავიანთი იმედები და თავიანთი რწმენა საბჭოთა ხალხისადმი, საბჭოთა მთავრობის მეთაურისადმი.

გულითადი საუბრის დროს ზანგმა მუშებმა უამბეს ნიკიტა სერგის-ძეს, თუ როგორ ცხოვრობენ ზანგები ამერიკაში. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ საბჭოთა ზანგები იბრძვიან თავიანთი საარჩევნო უფლებებისათვის და რომ ეს ბრძოლა, რომელიც უთანასწორო პირობებში მიმდინარეობს, ხშირად იწვევს მათს საშინელ შევიწროებას.

— თვითონვე მიხვდებით, ბატონო თავმჯდომარეო, ჩვენი სამხრეთელი ძმები, რომლებსაც სურთ ხმა მისცენ ამერიკის ყველა მოქალაქესთან ერთად, ვერ ახერხებენ დაიცვან თავიანთი ადამიანური უფლება. მათ აგდებენ სამუშაოდან და ისინი ხდებიან ეშიერი მათხოვრები, უუფლებო ადამიანები.

ნიკიტა სერგის-ძე ყურადღებით უსმენს თავის სტუმრებს და უპასუხებს მათ:

— დიახ, ეს მართლაც საშინელებაა. ამერიკაში, სადაც არის ჭარბი სურსათი, ათასობით ადამიანი შიმშილობს...

ნიკიტა სერგის-ძის ერთ-ერთი თანამოსაუბრე დასძენს:

— ბევრი მშრომელი ადამიანის სიღატაკე ამერიკაში მეტისმეტად საშინელია.

ნიკიტა სერგის-ძე ეთანხმება: დიახ, ამერიკაში კარგად ცხოვრობენ მდიდრები და ძლიერ ცუდად ცხოვრობენ ღარიბები, რომლებიც შავ სამუშაოს ასრულებენ.

ერთ-ერთი თანამოსაუბრე მწუხარედ ამბობს:

—შავი მუშა და ზანგი ჩვენში ყოველთვის თითქმის ერთი და იგივეა.

მუშები ეუბნებიან ნიკიტა სერგის-ძეს, რომ სამხრეთელი ზანგები გაიხარებდნენ, თუ საბჭოთა მუშების მხარდაჭერას მიიღებდნენ, რომ ინგლისიდან მათ მიიღეს ცნობები, რომ დახმარებას გაუწევენ იმ ზანგებს, რომლებიც შიმშილითა და სიღატაკით იტანჯებიან.

ნიკიტა სერგის-ძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუშათა სოლიდარობა დიდი საქმეა და რომ საბჭოთა მშრომელები ყოველთვის უწევენ დახმარებას თავიანთ კლასობრივ ძმებს.

შემდეგ საუბარი ეხება განათლების იმ სისტემას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს. ვილიამ კლარკი გულისტკივილით ამბობს, რომ მისი პაპა ოდესღაც ლინჩის კანონით იქნა დასჯილი, თვითონ იგი თითქმის გაუნათლებელია და რომ ძლიერ ოცნებობს იმაზე, რომ მისმა შვილებმა, მათ შორის ქალიშვილმა ჰოლდამაც, შეძლონ თავიანთი სურვილის განხორციელება, აშენონ სახლები და ხომალდები, რაკეტები და თანამგზავრები. შესაძლოა მათ ოდესმე მთვარეზეც იმოგზაურონ!

— მაგრამ იმისათვის, რომ განათლება მიიღო ამერიკაში, უნდა გქონდეს ბევრი, ძალიან ბევრი ფული. მერე სადა გვაქვს იგი? — ხელებს შლის ზანგი მუშა.

ნიკიტა სერგის-ძე უამბობს სტუმრებს, რომ საბჭოთა კავშირში განათლების მიღება შეუძლიათ ბევრი ხალხის შვილებს. თუ მათს ქვეყნებში არ არის სწავლისათვის აუცილებელი პირობები და შესაძლებლობანი.

— ჩვენში არის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი, რომელშიც სიამოვნებით მივიღებთ თქვენს ქალიშვილსაც, როცა იგი საშუალო განათლებას მიიღებს და ცოტა წამოიზრდება.

— შეიძლება გსურთ გამოგზავნოთ თქვენი ქალიშვილი ერთ-ერთ ჩვენს სკოლა-ინტერნატში? — ეკითხება ნიკიტა სერგის-ძე ვ. კლარკს.

— არა, ახლა მისი გამოშვება არა სურს დედას — ჩვენი ქალიშვილი ჯერ კიდევ ძალიან გამოუცდელია. მან არაფერი არ იცის, — ამბობს კლარკი. — ჩემს ვაჟებსაც ძალიან უნდათ ისწავლონ. და როცა ისინი წამოიზრდებიან, ბედნიერი ვიქნებოდი, რომელიმე მათგანი რომ შეძლებდეს წავიდეს საბჭოთა კავშირში სასწავლებლად...

ნიკიტა სერგის-ძემ, რომელიც დაკავებულია დიდი საქმეებით, არ დაიშურა დრო ამ გულთბილი, უაღრესად ამაღელვებელი შეხვედრისათვის უბრალო და, ცხადია, ძლიერ ღარიბ ადამიანებთან.

გოგონა ყურადღებით უსმენდა ნიკიტა სერგის-ძეს და მოკლე მისალმებით მიმართა მას, რომელშიც გამოთქვა ამერიკის ყველა ახალგაზრდის იმედი უკეთესი მომავლისა, ხალხთა მეგობრობისა.

გამოთხოვებისას სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს იმისათვის, რომ იგი დიდ მუშაობას ეწევა მშვიდობის სასარგებლოდ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოთქმულ სიტყვებში აღშფოთებით და მკვეთრად გამოვიდა რასიზმის წინააღმდეგ. დედამიწის ყველა ადამიანის — თეთრკანიან და შავკანიან ადამიანთა — პოლიტიკური და სოციალური უფლებებისათვის.

კლარენს კოგინსი ამბობს, რომ მას განსაკუთრებით დაამახსოვრდა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვის ის ნაწილი, რომელშიც მოთხრობილი იყო მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების წარმატებანი ახალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში.

— იქ მართლაც ბედნიერი ადამიანები ცხოვრობენ, — ამბობს იგი.

გამოთხოვებისას ამერიკელი მუშები აღელვებულნი ამბობენ:

— ჩვენ ვიცით, რომ უნდა გამოგეთხოვოთ, რადგანაც თქვენ ძლიერ დაკავებული ხართ. ბატონო თავმჯდომარეო, მაგრამ გჯეროდეთ, რომ არ გვინდა წასვლა, და ვიცით, რომ ათასობით ადამიანი ბედნიერი იქნებოდა, ჩვენს ადგილას, რომ ყოველთვიგენ. უამრავ ადამიანს ამერიკაში უყვარხართ და დიდ პატივს გცემენ თქვენ.

ნიკიტა სერგის-ძე სათითაოდ მაგრად, მუშურად გადაეხვია გულითადი საუბრით აღელვებულ ამ ადამიანებს, უბრალო ამერიკელ მუშებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ამერიკის ტელევიზიით

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი გუშინ გამოვიდა ამერიკის ტელევიზიით. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ეს გამოსვლა მოაწყო „ნეიშნლ ტელეფილმ ასოშიეტსის“ კომპანიამ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში უპასუხა ცნობილი ამერიკელი მიმომხილველის სოსკაინდის კითხვებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას და საერთაშორისო მდგომარეობის სხვა საკითხებს.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის ტრანსლაცია მოაწყო ამერიკის ბევრმა სატელევიზიო კომპანიამ მთელ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, აგრეთვე საზღვარგარეთ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა ამერიკის ტელევიზიით გაგრძელდა 2 საათსა და 9 წუთს — 21 საათიდან 23 საათამდე და 9 წუთამდე ნიუ-იორკის დროით (10 ოქტომბრის დილის 4 საათიდან 6 საათამდე და 9 წუთამდე მოსკოვის დროით).

ს. ორჯონიკიძის ძეგლი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). 6 ოქტომბერს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის შესასვლელს წინ მოედანზე საზეიმო ვითარებაში სპატარველი ჩამოეხსნა გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის ძეგლს.

ძეგლს გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბნენ ქართველი მეავტომობილეები, ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტაკიძემ. სიტყვები წარმოთქვეს ქარხნის დირექტორმა შ. კიკნაძემ, ყოფილმა მთავარმა მეტალურგმა, ამჟამად პენსიონერმა ნ. ბორისოვმა, ავტომატების საამქროს უფროსმა ბ. ყანჩაველმა, ტექნოლოგიური განყოფილების კონსტრუქტორმა ლ. ჩხეიძემ. ს. ორჯონიკიძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა შ. გაიშვილმა, ტ. მებურეშვილმა.

სერგო ორჯონიკიძის ქანდაკების ავტორია მოქანდაკე ო.

ზ ე ი მ ი მთაში

ᲣᲐᲖᲔᲒᲘ. (ტელეფონით საკ. კორ.). კვირას, 8 ოქტომბერს, თერგის ხეობაში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო. დიდი ქართველი კლასიკოსის ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის გახსნის ზეიმზე მოვიდნენ რაიონის მშრომელები, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან, თბილისიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან.

რაიონული ცენტრის მოედანზე, სადაც ძეგლია აღმართული, პარტიის ყაზბეგის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. შადურმა მიტინგი გახსნილად გამოაცხადა.

— ჩვენნ თანამემამულის ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის გახსნის, — ამბობს იგი, — დაემთხვა კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი — ჩვენი რაიონის მშრომელთა სახელზე მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოლოცვა იმის გამო, რომ რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური ვალდებულება.

სიტყვა წარმოთქვა მწერალმა დ. ბენაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა ალ. ყაზბეგის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე და მწერლის დამსახურებაზე ქართველი ერის წინაშე. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პოეტმა ალ. გომიაშვილმა, ყაბარდოელმა პოეტმა ჰუსეინ ულიეევმა, ყაზბეგისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტმა შ. არაბულმა და ი. ტენტურიშვილმა.

სიტყვა წარმოთქვა თბილისის მაუდ-ქამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა ე. თავაძემ. მან განაცხადა, რომ კომბინატის კოლექტივი შეფობას კისრულობს ყაზბეგის რაიონზე, რათა ამ რაიონიდან ახალგაზრდობა აღიზარდოს კომბინატში ფეიქრად. ეს რაიონი ხომ ძირითადი მომწოდებელია ნედლეულისა ჩვენი კომბინატისათვის.

ძეგლთან დგებიან პოეტი ს. ჩიქოვანი და ალ. ყაზბეგის თანამედროვეები — 80 წლის ი. ხუციშვილი და მისი თანატოლი გ. ალიბეგაშვილი. ისინი ნელ-ნელა უშვებენ საბურავს. დამსწრეთა წინაშე, მყინვარწვერის ფონზე, აღიმართა ნაბადწამოსხმული, ქაკაციონისაკენ მზირალი დიდი მწერლის ბრინჯაოს გამოსახულება.

ძეგლის ავტორია მოქანდაკე ი. ონიაური.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ძეგლის საზეიმო გახსნა.

ფოტო ს. კილადისა.

ალჟირელი სტუმარი

10 ოქტომბერს მოსკოვიდან გაემგზავრა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფარჰათ აბასი. ბ-ნ ფარჰათ აბასთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრნენ მისი თანმხლები პირები.

შერემეტიევის აეროდრომზე ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ნ. ნოვიკოვმა, რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრმა ა. ი. პოპოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ბ-ნი ფარჰათ აბასი გააცილეს სსრ კავშირში აკრედიტებულმა ბევრი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურებმა, საელჩოების თანამშრომლებმა, საბჭოთა და უცხოელმა ჟურნალისტებმა, აგრეთვე ალჟირის რესპუბლიკის სტუდენტებმა, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

ა. ნ. კოსიგინმა და ფარჰათ აბასმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკ. ინფ.).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

3 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შვეიცარიის საელჩოს განუცხადა, რომ საელჩოს მე-3 მდივანი ფრანსუა პიქტე ეწევა საქმიანობას, რომელიც შეუთავსებელია დიპლომატიური მუშაკის ოფიციალურ მდგომარეობასთან, კერძოდ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოგზაურობის დროს იგი აგროვებდა დაზვერვითი ხასიათის ცნობებს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ფ. პიქტეს შემდგომი ყოფნა საბჭოთა კავშირში მიიჩნია არასასურველად და წინადადება მისცა მას უახლოეს დროში დასტოვოს ჩვენი ქვეყანა.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲧᲘᲖᲚᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲛᲗᲠᲝ ᲡᲐᲥᲝᲕᲠᲔᲑᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სოზოგადოებრივ მეცხოველეობაში მეცხვარეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მას განსაკუთრებით დიდი ხვედრითი წონა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისათვის.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამის შედეგად თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული როგორც ცხვრის სულადობის, ისე მისი პროდუქტიულობის ზრდის საქმეში. კარგი მაჩვენებლები აქვთ ამ მხრივ წითელწყაროს, სიღნაღის, ახმეტის, დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგის, თიანეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონების კოლმეურნეობებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მიმდინარე წლის ივლისში მოეწყო თათბირი მეცხვარეობის განვითარების საკითხებზე. თათბირმა იმსჯელა ცხვრისათვის საკვები ბაზის განმტკიცების, ბინათმშენებლობის, წყლით უზრუნველყოფის, შრომის ორგანიზაციისა და მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ. ამ საქმეში კონკრეტულმა ამოცანებმა, მათი გადაწყვეტის გზებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალურ დადგენილებაში. ამ დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში ცხვრის სულადობა 1965 წლისათვის აყვანილ იქნება 1.820 ათას სულამდე

საუბარი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრთან

ᲐᲛᲮ. Ш. И. ᲨᲐᲜᲣᲨᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ნაცვლად მიმდინარე წლის 1.291 ათასი სულისა.

შვიდწლედის მეორე წლის ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მეცხვარეობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა. გამოიყო მთავარი ტრასა შირაქიდან თრიალეთის მასივისაკენ, რომელზეც ცხვრის საშემოდგომო გადარეკვა უკვე განხორციელდა. ტრასა მოხერხებულია, მეცხვარეობის ყველა მუშაკი ამისათვის დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს და მადლობას უხდის პარტიასა და მთავრობას ასეთი ზრუნვისათვის მეცხვარეებზე.

მეოთხე წელიწადია ხორციელდება ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ცხვრის მანქანებით გადაყვანა. დამთავრდა მზადება საზაფხულო საძოვრებიდან ზამთრის საძოვრებზე ცხვრის მანქანებით ორგანიზებულად გადაყვანისათვის. ცხვრის გადაყვანა უკვე დაიწყო.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიმდინარე წელს დიდი მუშაობა გასწიეს ცხვრის ნორმალური გამოზამთრებისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ყიზლარის ზამთრის საძოვრებით მოსარგებლე კოლმეურნეობების

[illegible] ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე არასოდეს არ დაგროვილა იმდენი საკვები, რამდენიც ახლაა მზად. ნაცვლად გათვალისწინებული 453 ათასი ცენტნერი თივისა, უკვე დამზადებულია 456 ათასი ცენტნერი მაღალხარისხოვანი თივა, დიდი ნაწილი უკვე მიზიდულია ცხვრის ბინებთან. თივის დამზადების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დუშეთის, ლენინგორისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებმა. საგრძნობი მუშაობა გასწიეს აგრეთვე ამ მხრივ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამანქანო სადგურისა და ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველოს მუშაკებმა.

ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს მწყემსებისათვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, მათი კეთილმოწყობა, პირუტყვისათვის ბინების მშენებლობა და რემონტი.

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს ტრასაზე ცხვრის გადმოსატვირთ მოედანზე სოფელ აჩალუკეში ეწყობა **გამოფენა,** სადაც ასახული იქნება ყიზლარის ზამთრის საძოვრებით მოსარგებლე რაიონების კოლმეურნეობების მიერ მეცხვარეობის განვითარების დარგში ჩატარებული მუშაობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაწესებულია პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომები და ჯილდო იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებსაც აქვთ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მეცხვარეობის განვითარების საქმეში.

კოლმეურნეობას, რომელსაც მიენიჭება პირველი ხარისხის დიპლომი, ჯილდოდ მიეცემა მსუბუქი მანქანა „გაზ-69“, ვინც მეორე ხარისხის დიპლომს მიიღებს — სატვირთო მანქანა „გაზ-51“, ხოლო მესამე ხარისხის დიპლომს — ეტლიანი მოტოციკლი.

ის, ვინც თავისი დაუღალავი მუშაობით მოიპოვებს გამოფენაში მონაწილეობის უფლებას, დაჯილდოებულ იქნება „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით.

აღნიშნული გამოფენის ძირითადი მიზანია განზოგადებულ იქნას მეცხვარეობის დარგში მოპოვებული წარმატებანი, მოწინავეთა გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას.

ᲨᲠᲝᲛᲐ, ᲫᲘᲔᲑᲐ, ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არც ერთ საწარმოს არ შეუძლია წარმატებით განვითარდეს, თუ მისი კოლექტივი ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღით, თუ იგი არ ფიქრობს მომავლისათვის უკეთ მოაწყოს მუშაობა. ხვალინდელ დღეზე ზრუნვა მნიშვნელოვანია ყველა მეურნეობაში, მაგრამ მას კიდევ უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის სწორად წარმართვის, მინდვრის ნაყოფიერების განუწყვეტლივ ამაღლებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

სწორედ ეს გავითვალისწინეთ, როცა შევუდექით სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა, კერძოდ — შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ დავალებათა პრაქტიკულად განხორციელებას ჩვენს რაიონში.

ახალციხის რაიონის მეურნეობის ძირითად დარგს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს. მასში წამყვანი ადგილი უჭირავს მემცენარეობას და მეცხოველეობას. ამ ორი დარგის წარმატებით განვითარებაზეა დამოკიდებული რაიონის, მისი მოსახლეობის წინსვლა და კეთილდღეობა.

ჩვენი რაიონის მშრომელებისათვის დიადი შვიდწლედის მეორე წელიც, ისევე როგორც პირველი, ჭეშმარიტად ძიებისა და შემოქმედებითი გზით წინსვლის, ახალ-ახალი მოვლენებით აღსავსე წელი იყო. მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ფართოდ გაშალა პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომითის აღმავლობას ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ამ საქმეში თვალსაჩინოდ გამოვლინდა კომუნისტების ავანგარდული როლი.

— შვიდწლედის მეორე წელი ჩვენი რესპუბლიკის საიუბილეო წელიც არის, — ხშირად გვესმოდა კოლმეურნეებისაგან, — საქმეს ისე მოვაწყობთ, რომ მიმდინარე წლისათვის ნაკისრი ყველა ვალდებულება დეკემბრისთვის შევასრულოთ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს ახალი დიადი შრომითი გამარჯვებებით შეეხვდეთ.

ეს ლიტონი სიტყვები როდი იყო. მასების შემოქმედებითმა შრომამ თავისი შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. პირველი შედეგები ჯერ კიდევ ივნისში მოვიმკეთ, როცა რაიონმა **ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.**

ამ მიღწევებს ზედ დაერთო ჩვენი მეორე დიდი სიხარული; რესპუბლიკის პირველი ჯგუფის რაიონების მეცხოველეთა სოციალისტურ შეჯიბრებაში 1960 წლის პირველ ნახევარში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის ჩვენს **ᲠᲐᲘᲝᲜᲡ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ.** როდესაც უიური ამ მაღალ ჯილდოს გვანიჭებდა, მხედველობაში ჰქონდა, რომ ხორცის წარმოება ჩვენს რაიონში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14,4 პროცენტით იყო გადიდებული, რძისა — 17 პროცენტით და კვერცხისა — 98,8 პროცენტით. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო საკარგულზე წარმოებული გვქონდა 16,4 ცენტნერი ხორცი (ცოცხალი წონა), 66 ცენტნერი რძე, 100 ჰექტარი მარცვლეული კულტურების ნათესზე მიღებული გვქონდა 7.926 ცალი კვერცხი, მნიშვნელოვნად გავადიდეთ პროდუქტიული პირუტყვის სულადობა.

კოლმეურნეობა შორის ელვის სისწრაფით გავრცელდა ჩვენი რაიონისათვის ამ მაღალი ჯილდოს მინიჭების ამბავი.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა რაიონმა დიდი შრომითი წარმატების მიღწევისათვის მოიპოვა რესპუბლიკის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენი რაიონის მშრომელები მიღწეულს არასოდეს არ სჯერდებიან. ადგილებზე ახალი ძალით არის გაშლილი შემოქმედებითი შრომა. ნათქვამია, წინელებს შემოდგომაზე ითვლიანო, და აი ეს შემოდგომაც დადგა, მართალია, წლის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ორ თვეზე მეტი დარჩენილი, მაგრამ სამეურნეო წლის დამთავრებას ფაქტიურად ერთი დღე აკლია. ცხრა თვის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება სრულიად უყოყმანოდ ვთქვათ, რომ ახალციხელები თავიანთ სიტყვას არ გატეხენ. ნაკისრ ვალდებულებებს ვადამდე და ღირსეულადაც შეასრულებენ. მაინც როგორია მაჩვენებლები ამ მხრივ, ან რას გვიქადის მომავალი?

ჩვენმა მეცხოველეებმა 1 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 10.000 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 12.000 ცენტნერისა. ახლა კოლმეურნეობებს სუქებაზე დაყენებული ჰყავთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ღორი, რომელთა სუქებიდან მოხსნა და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გათვალისწინებული აქვთ ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის. ასე, რომ ეს ვალდებულება 7 ნოემბრისათვის შესრულდება. აღსანიშნავია, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა ორნახევარჯერ მეტი ხორცი და ერთნახევარჯერ მეტი რძე. კვერცხის მიყიდვის ვალდებულება კი რაიონმა უკვე ივლისში გადაჭარბებით შეასრულა.

ᲮᲝᲠᲪᲘᲡ წარმოების გადიდების საქმეში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც მიმდინარე წელს აწარმოვა 525 ცენტნერი ხორცი და სახელმწიფოს უკვე მიჰყიდა 443 ცენტნერი, რითაც გადაჭარბებით შეასრულა წლიური ვალდებულება. კოლმეურნეობას ამჟამად სუქებაზე დაყენებული ჰყავს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და ღორები, რომლებსაც, საშუალოზე მაღალი ნაკვებობის მიღწევისთანავე, დამატებით მიჰყიდიან სახელმწიფოს. აწყურელებზე ნაკლები წარმატება როდი აქვთ ამ საქმეში ანის, ელიაწმინდის ვალის, პატარა ბამბისა და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს.

შარშან დავიწყეთ და რაიონში წელს კიდევ უფრო დიდი უურადღება მიექცა მეფრინველეობის განვითარებას. ჩვენი მეფრინველეებს სასაზელოდ უნდა ითქვას, რომ მარტო მიმდინარე წელს მათ სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 400 ცენტნერი ქათმის ხორცი და წლის ბოლომდე დამატებით კიდევ 200 ცენტნერს მიჰყიდიან. ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ახალციხის საინკუბატორო სადგურმა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსი ამხ. ნინო ულარჯიშვილი ხელმძღვანელობს, და რაიონის მეფრინველეობის საკოლმეურნეოთაშორისო ფერმამ. ეს ფერმა ახლა იდგამს ფეხს და მოკლე ხანში გადაიქცევა მეფრინველეობის მძლავრ ფაბრიკად, რომელიც ყოველწლიურად მისცემს სამშობლოს მილიონობით ცალ კვერცხს და ასეულ ცენტნერობით ფრინველის ხორცს. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მიმდინარე წლის ბოლოსათვის ამ ფერმაში 25.000 კვერცხმდებელი ქათამი იქნება.

ყოველ წელს შემოქმედებითი შრომის ფართო ასპარეზზე გამოდიან ახალ-ახალი ადამიანები, რომლებიც ენ სწევენ საერთო საქმეს. ამ მხრივ აღსანიშნავი არიან ახალგაზრდა მწველავები. მათ შორის ბევრია ახალი სახელები, რომლებსაც გუშინ არავინ იცნობდა, დღეს კი რაიონის ფარგლებსაც გასცდა. აღსანიშნავია სოფელ ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მწველავი **ᲔᲓᲘᲙᲝ ᲙᲐᲙᲐᲜᲐᲫᲔ.** ღირს ამ წარჩინებული მწველავის შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა.

ანის კოლმეურნეობა წველადობის მხრივ გასულ წლებში რაიონის კოლმეურნეობებს შორის 46-ე ადგილზე იყო. წელს კი თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა. თუ შარშან 1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული ჰქონდათ 1.006 კილოგრამი რძე, მიმდინარე წლის ამავე რიცხვისათვის მოწველილია 1.700 კილოგრამზე მეტი. ამ წარმატებაში ღირსეული წვლილი შეიტანა ახალგაზრდა მწველავმა ედიკო კაკანაძემ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის მასალებს რომ გაეცნო, კომკავშირელმა გოგონამ გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და კვების გაუმჯობესებით გაედიდებინა ძროხის წველადობა. დაიწყო დაძაბული შრომა. პირველი წარმატება მიღწეული იყო მარტის ბოლო რიცხვებისათვის, ე. კაკანაძეს მოსავლელად მიმაგრებული ცხრა ძროხიდან პირველი აპრილისათვის თვითეულზე უკვე მიღებული ჰქონდა 562 კილოგრამი რძე, ნაცვლად წინა წელს იმავე პერიოდისათვის მოწველილი 159 კილოგრამისა. ამრიგად, მან მოკლე პერიოდში წინა წელთან შედარებით წველადობა გაზარდა 403 კილოგრამით, ოქტომბრისათვის კი თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული აქვს 1.950 კილოგრამი რძე.

პარტიის რაიკომის ბიუროს მიმდინარე წლის 9 აპრილს სპეციალურად იმსჯელა კომკავშირელი მწველავის ე. კაკანაძის მოწინავე გამოცდილების შესახებ. ბიუროზე ისიც აღინიშნა, რომ მან მიმაგრებული 9 ძროხიდან მიღებული 9 ხბო მთლიანად შეინარჩუნა. კვებისა და მოვლის პროგრესულმა მეთოდებმა განაპირობა როგორც პირადად მისი, ისე მთელი ფერმის წარმატება. ახლა წველადობის მხრივ ანის კოლმეურნეობამ 46-ე ადგილიდან პირველზე გადმოინაცვლა. ბიუროს მიიღო დადგენილება, რომ მწველავ ე. კაკანაძის გამოცდილება ფართოდ გავრცელებულ იქნას რაიონის მეძროხეობის ფერმებში.

მის გამოცდილებას ფართო პრომაგანდას უწევს რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“, რომელიც სისტემატურად ბეჭდავს მასალებს როგორც ე. კაკანაძის, ისე მისი მიმდევრების შრომითი წარმატებების შესახებ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ [illegible] ადგილი [illegible] ბაზის [illegible] ბინათმშენებლობის, [illegible] ორგანიზაციისა [illegible] ბინებისა [illegible] ბინების [illegible] ბინების [illegible] ბინებისა [illegible] ბინებისა [illegible] ბინებისა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია



გენერალური ასამბლეის 8 ოქტომბრის სხდომაზე დამთავრდა განხილვა საკითხისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ:

რაულ როა — *კუბა*, ზერნბნერი — *ფინეთი*, უოდსვორზი — *აშშ*, სახა — *ნეპალი*, მჰამელი — *მაროკო*, კრიშნა მენონი — *ინდოეთი*, ა. ა. გრომიკო — *სსრ კავშირი*.

ნიუ-იორკი, 8 ოქტომბერი, (საკდესი). დღეს 11 საათსა და 01 წუთზე ადგილობრივი დროით (18 საათსა და 01 წუთზე მოსკოვის დროით) გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის სხდომა.

დღევანდელ დილის პლენარულ სხდომაზე განახლდა განხილვა საკითხისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის შესახებ. ასამბლეაში შეტანილია ამერიკის რეზოლუცია, რომელიც გენერალურ კომიტეტში გაიყვანეს და რომელიც ითვალისწინებს, რომ მიმდინარე სესიაზე არ განიხილონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხი, აგრეთვე ნეპალისა და გვინეის შესწორებანი, რომლებიც ძირეულად ცვლიან ამერიკის რეზოლუციის არსს.

ამ საკითხზე პირველი გამოვიდა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა.

„ი ეკვე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, თქვა რ. როამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შემოდის ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი, მაგრამ დღემდე, სამწუხაროდ, მიღებული არ არის შესაბამისი გადაწყვეტილება. დროა ფხიზლად შეეხედოთ საქმეს. ყოველთვის ასამბლეას თავს აბეზეზენ გენერალური კომიტეტის ეგრეთწოდებულ რეკომენდაციას, რომელიც გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური თვალთმაქცობიდან და რომლითაც ცდილობენ შეინარჩუნონ ტაივანის წარმომადგენლობა.

ამ პრობლემათა მიმართ, განაგრძო კუბის დელეგატმა, არსებობს სავსებით გარკვეული პოზიცია. ჩვენ არ შეგვიძლია ხმა მივცეთ ისე, როგორც წინათ ვაძლევდით. საოცარია, რომ ყველაფერი ეწინააღმდეგებარებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ და პოლიტიკურ დიქტატს, მაგრამ ეს შეუძლებელია კვლავ გაგრძელდეს. კუბა მოქმედებდა როგორც პაციენტი, და ჩვენ ვიცით, თუ რა კონფლიქტებსა და უბედურებას იწვევდა ეს. ჩვენ ახლა არ ვეკუთვნებარებით ვინმეს ბრძანებას, და კუბის მთავრობა მოქმედებს თავისი ხალხის სახელით. კუბამ მიიღწია სრულ სუვერენიტეტსა და თავისუფლებას და აკ კვლავ ოფი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ან მონოპოლიების სატელიტი.

კუბამ ახლა მოიშორა შეერთებული შტატების უღელი, განაგრძო რაულ, და დამოუკიდებელი გახდა. მან ნიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და მიიღო გადაწყვეტილება ხმა მისცეს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ შეტანილ იქნას ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი ასამბლეის განსახილველად შემოდის ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი, მაგრამ დღემდე, სამწუხაროდ, მიღებული არ არის შესაბამისი გადაწყვეტილება. დროა ფხიზლად შეეხედოთ საქმეს. ყოველთვის ასამბლეას თავს აბეზეზენ გენერალური კომიტეტის ეგრეთწოდებულ რეკომენდაციას, რომელიც გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური თვალთმაქცობიდან და რომლითაც ცდილობენ შეინარჩუნონ ტაივანის წარმომადგენლობა.

ამ პრობლემათა მიმართ, განაგრძო კუბის დელეგატმა, არსებობს სავსებით გარკვეული პოზიცია. ჩვენ არ შეგვიძლია ხმა მივცეთ ისე, როგორც წინათ ვაძლევდით. საოცარია, რომ ყველაფერი ეწინააღმდეგებარებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ და პოლიტიკურ დიქტატს, მაგრამ ეს შეუძლებელია კვლავ გაგრძელდეს. კუბა მოქმედებდა როგორც პაციენტი, და ჩვენ ვიცით, თუ რა კონფლიქტებსა და უბედურებას იწვევდა ეს. ჩვენ ახლა არ ვეკუთვნებარებით ვინმეს ბრძანებას, და კუბის მთავრობა მოქმედებს თავისი ხალხის სახელით. კუბამ მიიღწია სრულ სუვერენიტეტსა და თავისუფლებას და აკ კვლავ ოფი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ან მონოპოლიების სატელიტი.

კუბამ ახლა მოიშორა შეერთებული შტატების უღელი, განაგრძო რაულ, და დამოუკიდებელი გახდა. მან ნიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და მიიღო გადაწყვეტილება ხმა მისცეს საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ შეტანილ იქნას ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი ასამბლეის განსახილველად შემოდის ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხი, მაგრამ დღემდე, სამწუხაროდ, მიღებული არ არის შესაბამისი გადაწყვეტილება. დროა ფხიზლად შეეხედოთ საქმეს. ყოველთვის ასამბლეას თავს აბეზეზენ გენერალური კომიტეტის ეგრეთწოდებულ რეკომენდაციას, რომელიც გამომდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური თვალთმაქცობიდან და რომლითაც ცდილობენ შეინარჩუნონ ტაივანის წარმომადგენლობა.

ამ პრობლემათა მიმართ, განაგრძო კუბის დელეგატმა, არსებობს სავსებით გარკვეული პოზიცია. ჩვენ არ შეგვიძლია ხმა მივცეთ ისე, როგორც წინათ ვაძლევდით. საოცარია, რომ ყველაფერი ეწინააღმდეგებარებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ და პოლიტიკურ დიქტატს, მაგრამ ეს შეუძლებელია კვლავ გაგრძელდეს. კუბა მოქმედებდა როგორც პაციენტი, და ჩვენ ვიცით, თუ რა კონფლიქტებსა და უბედურებას იწვევდა ეს. ჩვენ ახლა არ ვეკუთვნებარებით ვინმეს ბრძანებას, და კუბის მთავრობა მოქმედებს თავისი ხალხის სახელით. კუბამ მიიღწია სრულ სუვერენიტეტსა და თავისუფლებას და აკ კვლავ ოფი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ან მონოპოლიების სატელიტი.

ამ საკითხზე ამერიკელ დელეგატ ბ. ბ. ბ.

ფრანგული მუსიკის კორიფე

სენ-სანსის დაბადების 125 წლისთავის გამო

მსოფლიოში სახელგანთქმულ ფრანგ კომპოზიტორებს შორის მკვეთრად გამოირჩევა **შარლ კამილ სენ-სანსი**, რომლის დაბადების 125 წლისთავს მთელი მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავს.

სენ-სანსის საფორტეპიანო კონცერტები და მცირე ფორმის პიესები, კონცერტი ჩელოსათვის, ინტროდუქცია და რონდო კაპრიჩიოზო ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, სიმფონიური პოემები (განსაკუთრებით — „ფაეტონი“ და „სიკვდილის ცეკვა“), „ცხოველთა კარნავალი“ ანუ „ზოოლოგიური ფანტაზია“ ორი როიალისა, სიმებიანი კვარტეტისა, ფლეიტისა, კლარნეტისა და ქსილოფონისათვის (რომლიდანაც საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს „გედი“) და „ბიბლიური“ ოპერა „სამსონ და დალილა“— სამუსიკო ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშებს მიეკუთვნებიან.

სენ-სანსს ზოგჯერ ახასიათებენ როგორც ნეო-კლასიკოსს. მართლაც, სიცოცხლის უკანასკნელ ეტაპზე იგი თაყვანს სცემდა ო

ან სებასტიან ბახის, მოცარტისა და ბეთჰოვენის გენიას, განიცდიდა მათი შემოქმედების გავლენას. მაგრამ ამასთან ერთად თვით სენ-სანსს, როგორც ჭეშმარიტ ფრანგ ხელოვანს, ახასიათებდა თავისი ეროვნების საუკეთესო თვისებები: მახვილი გონება, არტისტული ტემპერამენტი, ნატიფი იუმორი და მოხდენილობისადმი მისწრაფება. ამიტომ აჩის, რომ სენ-სანსის ყოველი ნაწარმოები თუ მელოდიური ან მარმონიული ორიგინალობით არა, ყოველ შემთხვევაში, ფორმის დახვეწილობით, მუსიკალური სახეების მღერადობით, მახვილი რიტმულობით გამოირჩევა.

კამილ სენ-სანსმა ხანგრძლივი ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა 1835 წლის 9 ოქტომბერს პარიზში, აქ გადმოსახლებული ნორმანდიელი გლეხის ოჯახში. ბავშვობიდანვე მას ფენომენალური მუსიკალური ნიჭი გამოაჩნდა, რის გამო გენიალურ მოცარტსაც კი ადარებდნენ. მართლაც, ექვსი წლის კამილი წერს თავის პირველ საფორტეპიანო პიესებს და სიმღერებს, ჩინებულად ასრულებს ბეთჰოვენის მუსიკოს ბეხანთან ერთად ბეთჰოვენის სონატას ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. 11 წლის პიანისტი გამოდის სოლისტად პარიზის პლეიელის საკონცერტო დარბაზში და საყოველთაო მოწონებას იმსახურებს.

კ. სენ-სანსმა საფუძვლიანი მუსიკალური განათლება მიიღო. ფორტეპიანოს დაკვრას სწავლობდა სტამატისთან, ორგანოს დაკვრას — ბენუასთან, ხოლო კომპოზიციაში მეცადინეობდა ჰალევის კლასში. პარიზის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ (1852) სენ-სანსი სახელს იხვეჭს როგორც ნიჭიერი ორგანისტი და ვირტუოზი — პიანისტი. მას, როგორც სოლისტს, შემოვლილი აქვს მრავალი სასელმწიფო. დიდი წარმატება ჰქონდა სენ-სანსს რუსეთში, სადაც იგი რამდენჯერმე გამოვიდა როგორც პიანისტი და დირიჟორი.

1861-65 წლებში სენ-სანსი ასწავლიდა როიალის დაკვრას ნიდერმაიერის სკოლაში. ამის შემდეგ იგი პედაგოგიკას აღარ დაბრუნებია. სამაგიეროდ მან ღრმა კვალი დააჩნია ფრანგული კულტურის სხვა დარგებში. პირველ რიგში აღსანიშნავია მისი საოპერო მოღვაწეობა, რაც ბრწყინვალე ნაწარმოების „სამსონ და დალილას“ შექმნით დაგვირგვინდა. მისი 12 ოპერიდან „სამსონს“... გარდა წარმატებით იდგმება „ჰაინრიხ VIII“.

საფრანგეთის სამარცხვინო დამარცხებამ პრუსიასთან ომში (1870) სენ-სანსში, ისევე როგორც მრავალ სხვა მოწინავე ფრანგში, მხურვალე პატრიოტული გრძნობის მძლავრი აფეთქება გამოიწვია. თუ მანამდე სენ-სანსი ითვლებოდა გერმანული სამუსიკო კულტურის პროპაგანდისტად საფრანგეთში, ახლა იგი სათავეში ჩაუდგა რომენ ბუსინთან ერთად დაარსებულ „მუსიკის ეროვნულ საზოგადოებას“, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული მუსიკის ინტენსიური განვითარებისათვის ყოველმხრივ ხელშეწყობას. მართლაც, ამ „საზოგადოების“ აქტიური მოქმედების შედეგად პარიზში ჩამოყალიბდა და მსოფლიო სახელი მოიხვეჭა სიმფონიურმა ორკესტრებმა ნიჭიერი ფრანგი დირიჟორების ჰადლუს, კოლონის და ლამურიოს ხელმძღვანელობით. ამ ორკესტრებმა დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდა ფრანგი სიმფონისტების შოსონის, ფორეს, ცეზარ ფრანკოს, ლალოს და ვენსან დ' ენდის დაწინაურებაში. თვით სენ-სანსიც, თავისი შემოქმედებით, ხელს უწყობდა მშობლიური სიმფონიური მუსიკის განვითარებას. ამ დარგში მას შექმნილი აქვს ორმოცამდე ნაწარმოები.

სიცოცხლის ბოლო წლებში კომპოზიტორი ბევრს მოგზაურობდა. მან მოიარა აფრიკა, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთი ამერიკა, ინდოჩინეთი, ევროპის სხვადასხვა ქვეყნები. მოგზაურობისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი სენ-სანსმა თვალ რიგ ნაწარმოებებში გამოხატა. განსაკუთრებით საინტერესოა ფანტაზია „აფრიკა“, ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, „ალჟირული სიუიტა“, მარში „ნილოსის ნაპირებზე“, „ჰავანური“ — ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, „არაბული კაპრისი“ ორი როიალისათვის და სხვ. აფრიკაში მეორედ მოგზაურობის დროს 86 წლის სენ-სანსი გარდაიცვალა ალჟირში 1921 წლის 16 დეკემბერს.

კამილ სენ-სანსი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ მუსიკალური შემოქმედებით. იგი, როგორც მუსიკალური მწერალი, თავისი ბასრი კალმით გაბედულად იბრძოდა ყოველი ჯურის მოდერნიზმის, ანტირეალისტური მიმართულების წინააღმდეგ. ამასთანავე იგი არ იყო კონსერვატორი ან რეტროგრადი ეროვნული კულტურის დაცვის საკითხებში. საგულისხმოა, რომ სენ-სანსმა მოამზადა გამოსაცემად დიდი ფრანგი კომპოზიტორის ჟან ფილიპ რამოს თხზულებათა სრული კრებული. ამასთან ერთად მან პირველმა გააცნო ფრანგ საზოგადოებას მ. მუსორგსკის „ბორის გოდუნოვი“. მთელ რიგ კრიტიკულ წერილებში (კრებულები „პორტრეტები და მოგონებანი“, „მატერიალიზმი და მუსიკა“, „პრობლემები და საიდუმლოებანი“, „ცხოვრების გზაზე“ და სხვ.), რომლებშიც აშკარად მოჩანს ავტორის დიდი ერუდიცია, მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ღრმა ცოდნა და დახვეწილი სტილი. სენ-სანსი თავგამოდებით იცავს კომპოზიტორის შემოქმედებაში ეროვნულობას, რეალისტურ პრინციპებს, ფორმის სიზუსტეს, მელოდიურ სილამაზეს, მხატვრული ზომიერების მოთხოვნილებებს.

სენ-სანსი ღირსეულად იქნა დაფასებული სიცოცხლის დროს. იგი არჩეული იყო საპატიო ლეგიონის ორდენის კომანდორად. კომპოზიტორს მიენიჭა ოქსფორდის უნივერსიტეტის მუსიკის დოქტორის მეცნიერული ხარისხი. იგი იყო საპატიო წევრი მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ კამილ სენ-სანსმა, ფრანგი ხალხის ამ ნიჭიერმა შვილმა, მთელი მოწინავე კაცობრიობის გარდუვალი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

პავლე ხუჭუა.

3. მერიკოსკი თბილისში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება გამოჩენილი ფინელი იურისტი, ფინეთის სახალხო პარტიის თავმჯდომარე პროფესორი ველი მერიკოსკი მეუღლითურთ.

9 ოქტომბერს ფინელი სტუმრები თბილისში ჩამოვიდნენ. მათ დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქი, ეწვივნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, სადაც ესაუბრნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს რ. დვალს. სტუმრები იყვნენ აგრეთვე თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ხელოვნებათა მუზეუმში, დაესწრნენ კონცერტს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლისას, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი.

ვ. მერიკოსკი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ რ. კომახიძემ.

გუშინ ვ. მერიკოსკი გამოვიდა თბილისის ტელევიზიით.

დღეს ფინელი სტუმრები თბილისიდან მიემგზავრებიან. ისინი ინახულებენ ბათუმსა და სოხუმს.

„პეტრე დიდს“ მოჰყავს სტუმრები

ბათუმი, 10 ოქტომბერი. (საქდესი). აქ თბომავალ „პეტრე დიდით“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოვიდა 300 ტურისტი.

გერმანელი სტუმრები იყვნენ ჩაქვის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, დათვალიერეს ჩაქვის ჩაის ფაბრიკა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში ქალაქის მოსწავლეებმა გერმანელი ტურისტებისათვის გამართეს მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.

ფრე სომეხ ჭაგუკეგთან

კვირას „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა საქართველოსა და სომხეთის ქალაქ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა.

თამაშის დაწყებიდან მეხუთე წუთზე მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ძ. იაშვილმა მორი მანძილიდან დაარტყა სტუმრების კარში და მეკარე გრიგორიანმა გაუშვა ოლად ასაღები ბურთი. ორი წუთის შემდეგ სომხეთის ნაკრების კართან ინიშნება თერთმეტმეტრიანი საჯარიმო. რომელიც ვერ გამოიყენა გ. საჭინავამ.

მეორე ტაიმში სომეხმა ჭაბუკებმა შეძლეს სპასუხობა ბურთის გატანა. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეგობრები“. ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.



სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 9 ოქტომბერი. „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მეორე ფინალური ჯგუფის გუნდების — მოსკოვის „სპარტაკისა“ და მინსკის „ბელარუსის“ ფეხბურთელთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

გათამაშების ცხრილი

VII-XII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მ.)	7	4	2	1	12:6	10
„დინამო“ (თბ.)	7	4	2	1	12:7	10
„ადმირალტეიეცი“ (ლ.)	7	4	0	3	12:7	8
„სპარტაკი“ (ერ.)	7	2	2	3	5:11	6
„დაუგავა“ (რ.)	7	0	4	3	4:8	4
„ბელარუსი“ (მინ.)	7	2	0	5	5:11	4

„ბ“ კლასი

რამდენიმე მატჩი დარჩა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების ჩემპიონატის დამთავრებამდე.

მოკავშირე რესპუბლიკების პირველი ზონის ფეხბურთელთა გუნდმა ბათუმის „დინამომ“ მორიგი შეხვედრა გამართა ტალინში ადგილობრივ დინამოელებთან. თამაში დამთავრდა ფრედ 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა სტალინაბადში მოკავშირე რესპუბლიკების მეორე ზონის გუნდების — სტალინაბადის „ენერგეტიკის“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ შეხვედრა.

ამავე ზონის ფეხბურთელთა გუნდი რუსთავის „მეტალურგი“ სუმგაითში შეხვდა ადგილობრივ „მეტალურგს“. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

თამაშობენ კალათბურთელები

ვარშავა, 10 ოქტომბერი. (საქდესი). ვოცლავში მიმდინარეობს ყოველწლიური საკალათბურთო ტურნირი, რომელიც ეძღვნება ჯარისკაცის მეგობრობის ლიგისა და პოლონეთის ჯარის დღის კვირეულს. გარდა პოლონეთის გუნდებისა „ვარტა“ (პოზნანი), „ზლონსკი“ (ვროცლავი), ქალაქ ლოძის სპორტკლუბისა, შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის ჩემპიონი—არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი (მოსკოვი).

მოსკოველებმა მოაწყეს ორი შეხვედრა. მათ გაიმარჯვეს ლოძის სასპორტო კლუბის გუნდზე ანგარიშით 85 : 42 და „ზლონსკის“ (ვროცლავი) გუნდზე ანგარიშით 66 : 42.

მშვიდობის მარათონი

პრაღა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). კვირას თბილ და მზიან ამინდში ქოფიცეში გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მარათონულ სირბილში — მშვიდობის მარათონი. მონაწილეობდა 93 სპორტსმენი სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის პოლონეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ფინეთიდან, ინგლისიდან, ავსტრიიდან, კანადიდან, იაპონიიდან და შვეიცარიიდან.

ინგლისის გუნდი გამოვიდა პირველ ადგილზე შედეგით — 4 საათი, 57 წუთი და 40,4 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ფინეთის გუნდმა — 5 საათი, 2 წუთი და 17,6 წამი, მესამე — შვეიცის გუნდმა — 5 საათი, 5 წუთი და 29,2 წამი.

ჭადრაკი

ექვსი ტურის შემდეგ

გრძელდება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში. გუშინ მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ჩემპიონატის მეექვსე ტური.

საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდნენ ლენინგრადელებს.

ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა, საერთაშორისო ოსტატმა ვ. ბოგლიძემ შეგვატყობინა, რომ ელისო კაკაბაძემ ძლიერად ჩაატარა შეხვედრა დიმიტრიევასთან და გაიმარჯვა. ნონა გაფრინდაშვილმა დაამარცხა კრისტოფა და ამით კიდევ ერთი ქულა შესძინა გუნდს. შიშო-ჩერეშოკოის პარტია ყაიმით დამთავრდა. გურგენიძე-ტოლუშის პარტია გადადებულია ქართველი ოსტატისათვის მოსაგებ მდგომარეობაში, ხოლო ბლაგიძეს დიდოსტატ სპასკისთან შეხვედრაში თანაბარი პოზიცია აქვს. ბუსლაევმა წაგო ტამანოვთან, ჯანოევმა—ბონდარევსკისთან, მეგრელიშვილმა — ოსნოსთან, ტოგონიძემ — ვოლპერტთან.

ჯერჯერობით ლენინგრადისა და საქართველოს გუნდების შეხვედრის ანგარიშია 5,5:2,5 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

ამავე დღეს უკრაინის გუნდმა დაამარცხა ესტონელები ანგარიშით 4,5:1,5, მოსკოველებმა — აზერბაიჯანელები — 4,5:2,5, ლატვიელებმა — ბელორუსიის გუნდი — 3:2.

ჩემპიონატს 39,5 ქულით კვლავ ლენინგრადის გუნდი ლიდერობს.

დღეს გაიმართება მეშვიდე ტური. საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდი შეხვდება უკრაინის გუნდს.

ტურნირზე ავსტრალიაში

კანბერა, 10 ოქტომბერი. (საკდესი). ადელაიდაში (სამხრეთი ავსტრალია) მიმდინარეობს ღია შეჯიბრება ავსტრალიის პირველობაზე ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა მოჭადრაკეები — გროსმაისტერი იური ავერბახი და ოსტატი ვლადიმერ ბაგიროვი. უკვე გაიმართა ოთხი ტური. გროსმაისტერმა იური ავერბახმა და ავსტრალიელმა ოსტატმა კენნიკამ მოაგროვეს სამნახევარი ქულა თითოეულმა და იყოფენ პირველ და მეორე ადგილებს. მეორე ტურში ავერბახმა ყაიმით დაამთავრა პარტია კენნიკისთან და დანარჩენი სამი პარტია მოიგო. ვლადიმერ ბაგირომ და ავსტრალიელმა მოჭადრაკეებმა ლეონჰარდმა და ტატერსმა, რომელთაც სამ-სამი ქულა აქვთ, იყოფენ მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილებს.

ამინდი

12 და 13 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 9-14, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 2-7, დღისით 13-18 გრადუსი.

ადმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში ალაგ-ალაგ წვიმა, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 18-23 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 11-16 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ჯარისკაცები რთველში

★

მსხმოიარე ვაზს პირველად ვხელავ!

★

საბჭოთა არმიის მეომრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მეგობრობა ამრავება და ფართოვდება. ამას მოწმობს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივის ურთიერთობა თბილისის გარნიზონის სამეფო ჯარის ნაწილთან.

...სასწავლებლის სააქტო დარბაზი გაივსო ჯარისკაცებით, სეიფანტებით, ოფიცრებით, პროფესორებით, მასწავლებლებით, სტუდენტებით. ინსტიტუტის დირექციამ და პარტკომმა შეკრებილნი მიიწვიეს შეხვედრის საღამოზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებას.

ეს შეხვედრა ორ დღეს გრძელდებოდა — ინსტიტუტის შენობაში და მის გარეშე, მუხრანის სასწავლო მეურნეობაში.

შეხვედრის საღამო გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ი. სარიშვილმა. მოხსენება მეომრებისა და სტუდენტების მეგობრობის შესახებ გააკეთა დოცენტმა, პარტკომის მდივნის მოადგილემ ამხ. ი. ჩხარტიშვილმა. გულთბილი სიტყვები წარმოთქვეს როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა.

მეგობრობისა და ამხანაგობის მოტივები აისახა აგრეთვე სტუდენტებისა და ჯარისკაცების ერთობლივი კონცერტით, რომელთაც დამთავრდა შეხვედრის პირველი დღე.

მეორე დილით კი სამხედრო ავტომანქანები მივიყვანენ ვაკეში, ინსტიტუტის შენობასთან. აქედან ისინი პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად უნდა გამგზავრებულიყვნენ ქალაქგარეთ — მუხრანის სასწავლო მეურნეობაში.

მანქანებმა სწრაფად გაიარეს ათობით კილომეტრი და უხარმაზარ ვენახთან გაჩერდნენ. აქ საითაც ჭრ უნდა გაგეხედნა, ყველგან ჩანდა ვაზების კარგად დამუშავებული მწკრივები, მწიფე მტევნებით დახუხძლული ვაზები.

— ჩვენ ჩამოვედით ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო მეურნეობაში, — მიმართა მეომრებს პოლიტმუშაკმა ოფიცერმა კარახანოვმა. — დღეს აქ ყურძნის მოსავლის აღების დღესასწაულია, ქართულად — რთველი. ჩვენ პატივი გვაქვდა მოიაზეთ ძველთა ამ დღესასწაულში, დაეხმაროთ მეგობარ სტუდენტებს მოსავლის აღებაში.

მეომრებმაც მაშინვე აიღეს ვედროები და ქალათები, ისინი ბრიგადებად დაიყვნენ და დაიწყეს კრეფა, რთველი გაჩაღდა. ვენახში გაისმა ხმა სამხედრო სასუნე ორკესტრისა, რომელიც მეომრებს მოჰყვა.

მეომართა მეტი წილი მარჯვედ მუშაობდა, მაგრამ ზოგს უჭირდა. ზოგიერთი ჯარისკაცი პირველად იყო ვენახში და არ იცოდა როგორ მოეჭრა ეს მოეწყვიტა მტევანი. მათ დაეხმარნენ ქართველი ჯარისკაცები ქოვოილი და დოლეხაშვილი. მორეული ჩრდილოეთი მხარის მცხოვრებს სურვილ სახარეოს ასოდგეს ეო უნახავს, როგორ ისრდება ვაზი, აქ კი მან ამხანაგების დახმარებით ისწავლა ყურძნის სწორად და სწრაფად კრეფა.

— რა ჯიშის ყურძენს ვკრეფთ? — იკითხა ჯარისკაცმა მაკაროვმა.

— „რქაწითელს“, — უპასუხა მეცნიერმა მუშაკმა. — ეს მაღალხარისხოვანი ჯიშია. იხმარება როგორც სადესერტო სუფრის ყურძენი, აგრეთვე სამარკო სუფრის ღვინოების დასამზადებლად.

მეომრები აგრეთვე გაეცნენ ვაზის განსქმულ ჯიშს — „ჩინურს“, რომელისგანაც შამპანურ ღვინოებს ამზადებენ.

კარგად იმუშავეს ვენახში გვარდიელმა მეომრებმა.



ახალგაზრდობის ტურისტული ლაშქრობა

ჰიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის ახალგაზრდებმა ამ დღეებში მოაწყეს საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ათდღიანი ტურისტული ლაშქრობა, რომელსაც ახალგაზრდა მაღაროელი ალპინისტი გ. სამხარაძე ხელმძღვანელობდა.

მოლაშქრეებმა სტარტი ჰიათურიდან აიღეს, გადალახეს საწალიკის მთა, რომელიც იმერეთს რაჭისაგან ჰყოფს. ინახულეს ნიკორწმინდის ეკლესია — XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების საუცხოო ნიმუში, გაიარეს ამბროლაური, ონი, მდინარე ყვირილის სათავეები, დაათვალიერეს ჯავის, სტალინირისა და გორის ღირსშესანიშნობანი. შემდეგ გომის, ალისა და სახჩერის გავლით კვლავ ჰიათურაში დაბრუნდნენ.

ქართველი მეგრძოლის მოგონებები

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაზე

ტყიბული. (საკ. კორ.). მოძმე ჩეხთა ხალხმა უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში იდღესასწაულა თავისი ეროვნული დღესასწაული — გერმანიის ფაშიზმისაგან განთავისუფლების 15 წლისთავი. ბრნოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრამ თხოვნით მიმართა იმ საბჭოთა ადამიანებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში, გაეგზავნათ მოგონებები გარდახდილი ბრძოლების შესახებ.

ამ კეთილშობილურ საქმეს მხურვალედ გამოეხმაურა ორპირის საშუალო სკოლის მასწავლებელი შოთა გვეტაძე. მას აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ჩეხოსლოვაკიის ისეთი დიდი ქალაქების განთავისუფლებაში, როგორიც არის პრაღა, კოლინო და ჰკოდა. შ. გვეტაძემ ბრნოს უნივერსიტეტს გაუგზავნა ვრცელი მოგონებები და ფოტოსურათები, სადაც ასახულია საბჭოთა არმიელების თავგანწირული ბრძოლა ჩეხი ხალხის განთავისუფლებისათვის.

ამას წერილი ბრნოს უნივერსიტეტიდან ორპირში მოვიდა წერილი, რომლითაც ფილოსოფიის კათედრის მთელი შემადგენლობა გულითად მადლობას უძღვნის შ. გვეტაძეს მათი თხოვნის შესრულებისათვის.

3. ოჟერელიევი.

• • •

სურათზე: თბილისის გარნიზონის მეომრები რთველში.

ოტო გვარდიის სერჟანტ ბ. ლებედევისა.

ᲛᲐᲥᲕᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ...

ფელეტონი

ივანე ივანეს-ძე შმაჩკოვს საოჯახო ჰქონდა და მოსაგვანებას ვერ პოულობდა, სანამ ვიცე-ე. გაანდობდა.

— გიიგეთ? არა? ეს უკვე ყველამ იცის. ავტომანქანები... 1 იანვრიდან... იცით?.. გაძვირდება...! „მოსკვიჩი“, იცით, რა ეღირება? ახლანდელი ფულით — 100 ათასი! „ვოლგა“ კი? 150! პატიოსან სიტყვას გეუბნებით! დივან-საწოლი, იცით, რა ეღირება? ერთიორად გაძვირდება.

თვითონ გავიგონე ტროლეიბუსში, ორი ქალი ლაპარაკობდა. ისინი ტყუილს არ იტყვიან. მშვიდობით იყავით, მეჩქარება, მიერბიეარ.

მთელი დღე ივანე ივანეს-ძე ქოშინით დარბოდა ნათესავებსა და ნაცნობებში. ვინც შინ არ დახვდა, იმათ ტელეფონით დაეძებდა და უკავშირდებოდა.

— გიიგეთ? მაშ მისმინეთ... მაგრამ კრინტი არსად დასძრათ. პატიოსანი სიტყვა მომეცით.

და აი ამ ცოტა ხნის წინათ სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებში დაიწყეს ტელეფონის რეკვა ივანეს ივანეს-ძის მსხვერპლებმა.

— გელაპარაკებათ მყიდველი. მაღაზიაში გამოჩენილია განცხადება, 1 იანვრიდან ავტომანქანების ფასები ერთიორად გადიდდებაო.

—თქვენ თვითონ ნახეთ?

— მე? დიახ... თუმცა, არა. მაქვს ასეთი ცნობები...

— საიდან გაქვთ ეს ცნობები?

— შმაჩკოვმა მითხრა.

— ბოლიში, ვინ არის ეს შმაჩკოვი?

— ისე, ერთი კაცია... „მაშასადამე, ტყუილი უთქვამს?

— ...გამარჯობათ! საბავშვო ბაღიდან გელაპარაკებით. ბავშვების გადაყვან-გადმოყვანისა და პროდუქტების შენახვის დასაგეგმავად გვესაჭიროება ვიცოდეთ ავტომობილებისა და მაცივრების ახალი ფასები.

— ძველი ფასები ხომ გაქვთ?

— გვაქვს...

— აიღეთ ესენი და ათზე გაყავით.

— არა, იმაზე კი არ ვლაპარაკობ... — ხმა იწევს დაბლა, ინტიმურ ჩურჩულამდე, — მე მინდა ახალი, ისე ვთქვათ, გადიდებული ფასები. ჩვენ ოფიციალური წესით გვაცნობეს, მაგრამ დაგვიგვიანდა...

— ვინ გაცნობათ?

— გვაცნობეს... თქვენ არ შეგიძლიათ გვითხრათ? გვისაუბრობენ, პაწიები დაღონდავენ, ღელავენ...

— ხომ გითხარით.

— პატიოსან სიტყვას მეუბნებით?

მსტოვარს აქვე ავიწყდება „ღონღავი პაწიები“ და ჩქარობს გაიკეთოს თავისი ფართო დასკვნები...

შმაჩკოვები ამტკიცებენ, რომ არიან პირები, რომლებსაც საკუთარი თვალით უნახავთ ახალი პრესკურანტები. ჩუ... შეგიძლიათ კბილებს ენა დააჭიროთ? მაშინ ერთ საიდუმლოებას გაგანდობთ: ასეთი ადამიანები მართლა არიან, და ჩვენც მათს რიცხვს ვეკუთვნით.

აი პრესკურანტი № 086. გვერდი მე-3, რიგითი ნომერი 1-ლი. ნაწარმის დასახელება: ავტომობილი „მოსკვიჩი 407“, საცალო ფასი — 2.500 მანეთი. რიგითი ნომერი მე-5. ავტომობილი „ვოლგა“. საცალო ფასი — 4.000 მანეთი. პრეისკურანტი № 092, გვერდი მე-3. რიგითი ნომერი მე-7. ნაწარმის დასახელება: მაცივარი „სარატოვი — 2“, საცალო ფასი — 150 მანეთი.

მაგრამ აქ შეიძლება მოქალაქე შმაჩკოვი აღშფოთდეს.

— აი, ხომ ჩაეარდით! მე თვითონ, პატიოსან სიტყვას გეუბნებით, თვითონ, საკუთარი თვალით ვნახე მაცივარი „სარატოვი“ 2.550 მანეთად. გაყავით ეს თანხა ათზე, რამდენი გამოვა?

და აი აქ, მხოლოდ ერთხელ, შმაჩკოვი მართალი აღმოჩნდება. მას მართლაც შეეძლო ენახა მაცივარი „სარატოვი“ 2.550 მანეთად, მაგრამ არა წინანდელი „სარატოვი“, არამედ ახალი, რომლის ტექნიკა ერთიორად არის გადიდებული. ძველი მოდელი კი კვლავ 1.500 მანეთი ღირს და, როგორც უკვე ვთქვით, 150 მანეთი ეღირება.

ქმაყოფილი ხართ, ივანე ივანეს-ძევ? ხომ მოგაწოდეთ ახალი ცნობები. შეგიძლიათ მიიღოთ სიამოვნება და ისინი საიდუმლოდ „უამბოთ თქვენს მეგობრებსა და ნაცნობებს. სისწორისათვის პასუხს ვაგებთ. გისურვებთ წარმატებას.

ა. ანტონოვი.
ეკონომისტი.

„იზვესტია“, 8-X.

ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲓᲐᲜ...

განუყრელ დობილებად იცნობდნენ ფოთელი ნავსადგურელები სარემონტო-სამშენებლო უბნის კომკავშირელ მღებავ-მებაოთქაშეებს ნინა სტეფანიშინის და თამარ მეშვილდოშვილს. ძალ ერთიერთულად აითვისეს ეს პროფესია და მუშაობდნენ იმ ბრიგადაში, რომელიც იბრძოდა კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო წოდებისათვის.

შრომაშიც ერთად იყვნენ და თავისუფალ დროსაც ერთმანეთს არ შორდებოდნენ მეგობრები, და არავის გაკვირვებია, როცა გასული ზაფხულის ერთ დღეს ორივემ კომკავშირის კომიტეტს განუცხადა: გვსურს ციმბირის გიგანტურ ახალშენებლობებზე მუშაობაო.

კომკავშირელი დობილების მტკიცე გადაწყვეტილებას დიდი მოწონებით შეხვდნენ და გზა დაულოცეს.

გოგონები დანაპირებს არ უხვევენ. პირველად მათ დეპეშით აცნობეს ფოთელ თანამოსაქმეებს თავიანთ წარმატებათა შესახებ, ხოლო ამ დღეებში ვრცელი ბარათი გამოგზავნეს ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივნის გ. ჯუობაძის სახელზე.

„ძნელია წარმოიდგინო იმ სამუშაოთა მასშტაბი, რაც აქ, ქალაქ ომსკში წარმოებს. ძართალია, ჩვენი სამუშაო უბანი ქალაქს დაშორებულია 30-40 კილომეტრით, მაგრამ სადაც ახალგაზრდობაა. იქ განუსაზღვრელი სიხარულია დამკვიდრებული.

აქ უჩვეულო შრომითი პათოსია. დღეს რომ გაუვალ ტყეს გაკაფავ, ხვალ იქ ვრცელი სამშენებლო მოედანი მოჩანს, ზეგ კი უზარმაზარი სახლის კედლები ამოჰყავთ. მალე ალბათ ვეღარც კი ვიცნობთ ამ მხარეს. მოგვწერეთ თქვენს წარმატებებზეც“...

ბარათის მიღებამ გაახარა ნავსადგურელი კომკავშირელები, რომლებმაც სასპასუხო წერილში კვლავ ახალი წარმატებანი უსურვეს კომკავშირელ დობილებს.

კ. კომახიძე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებების